



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი / აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმა

შესავალი

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის მიზანია ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ხელს უწყობენ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

მემორანდუმის შესრულება ეხმარება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიან განხორციელებას და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ითანამშრომლებენ ამ სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის.

პრიორიტეტები

სამოქმედო გეგმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტებს:

პრიორიტეტი 1

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობა, კერძოდ, ევროპული მიმართულების გაძლიერებისა და განვითარების, აგრეთვე, ევროინტეგრაციული პროცესების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, კომიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, მონაწილეობს კომიტეტის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ანალიტიკურ/ექსპერტული საქმიანობის გახორციელების პროცესებში.

- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა გამოჰყოფენ საკონტაქტო პირებს თანამშრომლობისათვის.

- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი წელიწადში ერთხელ, პარლამენტის საშემოდგომო სესიის დასრულებამდე, გამართავს კომიტეტისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის გაერთიანებულ სხდომას (რომელზეც მოსმენილი იქნება კომიტეტის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში, განხორციელდება სამოქმედო გეგმის გადახედვა-განახლება);

პრიორიტეტი 2

ინფორმაცია საკანონმდებლო საქმიანობის თაობაზე

- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ კომიტეტისათვის კანონპროექტის გადაცემიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობებს აღნიშნულზე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას და უგზავნის კანონპროექტის ტექსტს და სხვა თანდართულ მასალებს სრული სახით.

პრიორიტეტი 3

საკანონმდებლო პროცესში ჩართვა

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის მიზნით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების, საკანონმდებლო ინიციატივების ტექსტებზე მუშაობის, მათი დახვეწის პროცესში კომიტეტი უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ჩართვას და აწვდის მას ინფორმაციას კომიტეტის სხდომების თაობაზე, ასევე უზრუნველყოფს პლატფორმის წევრების კომიტეტის სხდომაზე დასწრებას.

პრიორიტეტი 4

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ ექსპერტული დახმარების განხორციელება-უზრუნველყოფა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით გამოთქვამს არგუმენტირებულ მოსაზრებებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, აყალიბებს საექსპერტო დასკვნას, რაც თან დაერთვება კანონპროექტებს.

პრიორიტეტი 5

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება. ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

თანამშრომლობის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა საჭირო და აუცილებელ სფეროებში ხელს უწყობს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ჩართულობას კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში, მათთვის ახორციელებს ტრენინგებისა და სწავლების ჩატარებას.